ი-05/569

# იჯარის ხელშეკრულება

06.05.2011წ.

შპს „საგზაო ტექნიკა" (შემდგომში „მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ვახტანგ გოგიას სახით, ერთის მხრივ და შპს „ზიმო-7" (შემდგომში „მეიჯარე"), მეორეს მხრივ, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მარინე მანგალაძის სახით, შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, „მეიჯარე" იღებს ვალდებულებას გადასცეს „მოიჯარეს" ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ქონება დროებით სარგებლობაში იჯარის ფორმით, ხოლო „მოიჯარე" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მეიჯარეს" შეთანხმებული საიჯარო ქირა და ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს „მეიჯარეს" იჯარით აღებული ქონება.

1.2. „მეიჯარე" გადასცემს „მოიჯარეს" დროებით სარგებლობაში მის საკუთრებაში არსებულ 300მ$^2$ ბიტუმსაცავის რეზერვუარს, მდებარე დაბა ხელვაჩაური (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №22.27.02.109) რეზერვუარის კოდი: 1180037 (შემდგომში „იჯარის საგანი").

1.3. „იჯარის საგანს" „მოიჯარე" გამოიყენებს 120 ტონა საგზაო ბიტუმის შესანახად.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „მეიჯარე" ვალდებულია:

- დროულად გადასცეს „მოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ქონება;

„მეიჯარე" უფლებამოსილია:

- მოითხოვოს ხეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ „მოიჯარე" დროულად არ იხდის საიჯარო ქირას;

2.2. „მოიჯარე" ვალდებულია:

- დროულად გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა;
- ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს იჯარით აღებული ქონება „მეიჯარეს" გამართულ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3. იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

3.1. „მეიჯარე" „მოიჯარეს" გადასცემს იჯარის საგანს დროებით სარგებლობაში იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

4.1. „მეიჯარე" ადასტურებს, რომ იჯარის საგანი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა და რომ, არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც „მოიჯარეს" ხელს შეუშლის იჯარის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებაში.

5. საიჯარო ქირის ოდენობა და ანგარიშსწორების წესის შესახებ

5.1. ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 6 000 (ექვსი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2. „მოიჯარე" ვალდებულია ყოველი მიმდინარე თვის საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველი მომდევნო თვის დასაწყისში, არაუგვიანეს 5 (ხუთი) რიცხვისა.

5.3. საიჯარო ქირის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.4. საიჯარო ქირის დარიცხვა იწყება იჯარის საგნის „მოიჯარისაათვის" ფაქტიურად გადაცემის მომენტიდან და წყდება „იჯარის საგნის" „მეიჯარისათვის" გადაცემის მომენტიდან.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2. საიჯარო ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს.
6.3. წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება.

### 7. მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

7.1. „მეიჯარეს" უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ:
ა) „მოიჯარე" დროულად არ იხდის საიჯარო ქირას;

### 8. მოიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

8.1. „მოიჯარე" ვალდებულია თავისი ინიციატივით საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აცნობოს „მეიჯარეს" 5 (ხუთი) დღით ადრე.

### 9. იჯარის საგნის დაბრუნების შესახებ

9.1 ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია იჯარის საგანი დაუბრუნოს მეიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ან შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. დაბრუნების შესახებ უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი.

### 10. იჯარის საგნის ქვეიჯარით გაცემის შესახებ

10.1. „მოიჯარეს" უფლება არა აქვს „მეიჯარის" თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს იჯარის საგანი.

### 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
11.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

### 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ფორს-მაჟორულ პირობებად მიიჩნევა: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, გაფიცვები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, ომი, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა.

### 13. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

13.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების ნაწილი იქნება.

### 14. დავათა გადაჭრის წესი

14.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.
14.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ინახება „მოიჯარესთან", მეორე „მეიჯარესთან"

მხარეთა რეკვიზიტები:

“მოიჯარე”

შპს “საგზაო ტექნიკა”

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. “საქართველოს ბანკი” –
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

შპს „საგზაო ტექნიკის”
დირექტორის მოადგილე

ვახტანგ გოგია ____________

“მეიჯარე”

შპს „ზიმო-7“

მის: ქ. ბათუმი, ჭაჭულის ქ. №59 (35)
ს/კ 245424919
ტელ: 888 (222) 9 22 07

სს „თიბისი ბანკი“-ს
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი 220101835
ანგარიშის GE13TB1000000360746701

შპს „ზიმო-7”-ს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მარინე მანგალაძე ____________